

მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობაში

სამოქალაქო მრჩეველეთა საბჭო - მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი თვითმმართველობაში.



დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი ადგილობრივი თვითმმართველობის გადანაცვლებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობაა. საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თვითმმართველობას განმარტავს, როგორც მოქალაქეთა უფლებას-ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მეშვეობით გადანაცვითონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. თვითმმართველობა უპირველეს ყოვლისას მოქალაქეთა თვითორგანიზების ფორმა და მოქალაქეთა მონაწილეობის გარეშე იგი ვერც განხორციელდება.

რას გულისხმობს მოქალაქეთა ჩართულობა? ეს არის თვითმმართველობის საქმიანობის, პროცესის დაგეგმვა მოქალაქეების ჩართულობით და მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელება. საქართველოს ორგანული კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2015 წლის 22 ივლისის შესული ცვლილებებით განისაზღვრა მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი გამგებელთან/მერთა სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის მექანიზმია. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინსტრუმენტი ახალი არ არის, რადგან 2012 წლიდან საკრებულოსთან უკვე არსებობდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გამოცდილება,

თუმცა საკანონმდებლო ცვლილებებმა ახალი გამოწვევი წინაშე დააყენა მუნიციპალიტეტი. 2015 წლის 2 მარტის ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და დებულებით დამტკიცდა მათი საქმიანობის რეგულაციები. თვითმმართველობის განხორციელება სწორედ იმ ეტაპზეა, როდესაც მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად საჭირო მოდელის დანერგვას და შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებას მხარდაჭერა სჭირდება.

ბათუმის თვითმმართველობაში ამჟამად ორი სამოქალაქო საბჭოა, რომლის მიზანი მოქალაქეთა მონაწილეობა და თვითმმართველობის გამჭვირვალობაა.

საკრებულოსთან არსებული მრჩეველთა საბჭო 19 წევრისაგან შედგება - არასამთავრობო, ბიზნეს და მედია ორგანიზაციის ორ ორი წარმომადგენლები, რომლებიც აირჩევიან სექტორული კონსულტაციის გზით და ბათუმის 13 უბნის საზოგადოებრივი დარბაზის წარმომადგენლები. ბათუმის 13 უბანში არსებობს საზოგადოებრივი დარბაზი, რომელშიც განვერიანება თავისუფალია და ორ წელიწადში ერთხელ ირჩევენ დარბაზის თავმჯდომარეს. სამოქალაქო საწყისებზე შეკრებილი საბჭოს 19 წევრი, ანაზღაურების გარეშე, ცდილობს საზოგადოებასთვის მნიშვნელოვანი საკითხები მაქსიმალურად წარმოაჩინოს და თვითმმართველობაში მისი ლობირება უზრუნველყოს.

კანონის მიხედვით მერის მრჩეველთა საბჭო ეს არის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან მენარმე იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახლეობა. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შედეგამ 10 წევრისაგან, რომელიც მოიწვევა უშუალოდ მერის მიერ სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები - ხელოვანები, პროფესორები, ეკონომისტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა ქალაქისთვის მნიშვნელოვანი სფეროს წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საბჭოების საქმიანობის გამჭვირვალობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა ვერ იქნება ეფექტური, თუ ქალაქის ყველა უბნის მაცხოვრებელი აქტიურად არ ჩაერთვება პროცესებში და სამოქალაქო საბჭოს წევრებთან ერთად იმ საკითხების ლობირებას არ დაიწყებს, რაც კონკრეტულ უბანში მცხოვრებ მოქალაქეებს ანუხებთ.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMU) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში (USAID ფინანსური მხარდაჭერით) ახალი პროექტი დაიწყო "მართე შენი ქალაქი", რომელიც ითვალისწინებს ბათუმის მუნიციპალიტეტში არსებული საბჭოების საქმიანობის მხარდაჭერას და ახალი კომუნიკაციის სტრატეგია შექმნას.

სამოქალაქო საბჭო ხარ შენ, შემოგვიერთდი დღეს და მმართე შენი ქალაქი თავად, გამოიყენე უფლება, რასაც კანონი გაძლევს. ერთად შევქნათ თვითმმართველობა, რომელიც გადანყვებილებებს საზოგადოებასთან პარტნიორობით მიიღებს. მხოლოდ საზოგადოების ჩართულობით არის ეს შესაძლებელი.

ბათუმის მერიის კულტურული პროგრამების და ბიუჯეტის საჯარო განხილვა მოენყო

სამუშაო შეხვედრა



22-23 აპრილს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ ბათუმის ბიუჯეტის ორი მნიშვნელოვანი პროგრამის საჯარო განხილვა ჩაატარა. საბჭოს ინიციატივით მოქალაქეებსა და მერიის წარმომადგენლებს შორის

მერიის კულტურული პროგრამების და ბიუჯეტის განხილვა მოხდა. კულტურული პროექტების პრეზენტაცია ბათუმის მერიის განათლებისა და კულტურის განყოფილების უფროსმა, ლამზირა ბოლქვაძემ და სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსმა, ია შალამბერიძემ გააკეთეს. შეხვედრას სახელოვნებო სფეროში მოღვაწე მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები თუ სხვადასხვა ფესტივალების ორგანიზატორები, სტუდენტები და უბრალოდ დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

მერიის წარმომადგენლებმა მერიის 7 პროგრამაზე დეტალურად ისაუბრეს, მათ შორის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ „თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის“ პროგრამებზე. პროექტი ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ, ან ახალგაზრდებისათვის სასარგებლო,

მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს. ახალგაზრდებმა ამ გრანტის მიღების ტექნიკურ დეტალებზე ისაუბრეს. დისკუსიის მონაწილე, ანა ყურშუბაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეებისთვის აუცილებელია პროგრამით მიღებული თანხის 30% საგარანტიო სახით, საბანკო დაბღვევის წარდგენო. „ეს ხშირ შემთხვევაში შემაფერხებელი გარემოებაა ახალგაზრდებისთვის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, რადგან ახალგაზრდული ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები და სტუდენტები ვერ ახერხებენ აღნიშნული დოკუმენტის წარადგენას, ბანკიდან საგარანტიო დაბღვევის მიღებას და ეს სერიოზული ბარიერია“ - განაცხადა ანა ყურშუბაძემ. მერიის წარმომადგენლებმა შენიღვნა ჩაინიშნეს და შეხვედრის მონაწილეებს ამ საკითხის გადახედვის თაობაზე კონსულტაციების გამართვას დაპირდნენ. ლამშირა ბოლქვაძის განცხადებით, „აუცილებლად გაიმართება კონსულტაციები და შესაძლებელია მსჯელობის შედეგად საბანკო დაბღვევის დოკუმენტის მოთხოვნის ამოღება ან მინიმალური ზღვარის დაწესება“.

დისკუსიის საგანი გახდა მერიის სტუდენტური დასაქმების პროგრამაც. „საბაფხულო დასაქმების“ ფარგლებში, მერია იმ სტუდენტთა დასაქმებას გეგმავს, რომლებიც ბათუმში არიან რეგისტრირებულები და სწავლობენ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 85 000 ლარია.

დარბაზში შეკრებილი სტუდენტთა ნაწილისთვის მერიის მიერ გამოცხადებული პროგრამა ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების დასაქმებას. სტუდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ უკეთესი იქნება მერია თანხებს პროფესიული სტაჟირების კუთხით ხარჯავდეს, რაც სტუდენტებს უფრო დიდ სარგებელს მისცემს. დარბაზში იყვნენ ისეთი ახალგაზრდებიც, ვისთვისაც შეთავაზებული ვაკანსიები მისაღები იყო.

სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის უფროსმა ია შალამბერიძემ განაცხადა, რომ 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ასევე ახალგაზრდული ცენტრის შექმნაც, რომლისთვისაც 141 600 ლარი გამოიყო. ახალგაზრდული ცენტრი იქნება ინტელექტუალური სივრცე ახალგაზრდებისთვის, თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ პიროვნულ განვითარებას, კონფერენციების მოწყობას და დაეუფლებიან პროექტების წის ტექნიკას: ხოლო შემდგომ თავად დაწერენ და განახორციელებენ პროექტებს. დისკუსიის მონაწილეების აზრით აღნიშნული შეხვედრა პროდუქტიული იყო, რადგან ადგილობრივმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა და სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია სხვადასხვა აქტოვობებთან დაკავშირებით, გახდნენ უფრო მეტად ინფორმირებულები ამ იდეების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების წყაროების შესახებ. თავის მხრივ, მერიისთვის უფრო ხელშესახები გახდა მოქალაქეების ინტერესები და პროექტების დაგეგმვის დროს, ეს მნიშვნელოვან დაეხმარებათ მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებაში.

ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საჯარო მოსმენა

18 აპრილს ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ბათუმის საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინიციატივით გაიმართა ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საჯარო მოსმენა. 2015 წლის შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მერიის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე - არჩილ ვანაძემ წარადგინა. თუ როგორ და რამდენით შესრულდა ანგარიში? რა ნაკლოვანებები იყო წინა წელს და რა არის გასათვალსწინებელი მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმარებისას ამ და სხვა საკითხებზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საბჭოს წევრებთან ერთად იმსჯელეს. ამის შემდგომ მიმდინარე წლის პირველ მაისს საკრებულომ გასული წლის ბიუჯეტის ანგარიში დაამტკიცა.

სიახლეები ბათუმის საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო საბჭოს საქმიანობაში



საკრებულოსთან არსებული მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს საქმიანობის ახალი რეგულაციები იწერება

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომები ყოველთვის ერთდღიანად დროს გაიმართოს. გადაწყდა, რომ სხდომები ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს, 16:00 საათზე, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის დიდ

სადისკუსიო დარბაზში (მისამართი: ბათუმი ფარნავაზ მეფის ქ. #62/64) ჩატარდება. საბჭოს სხდომები ღიაა და დასწრება ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს შეეძლება. გადანწყვეტილების მიღებამდე საბჭოს წევრებს შორის გაიმართა დისკუსია. სამოქალაქო საბჭომ მიიჩნია, რომ თუ ყოველთვიურად, დათქმულ დროს გაიმართებოდა სხდომები, საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს მიეცემა საშუალება წინასწარ განსაზღვროს დასწრების საკითხი.

ამ გადანწყვეტილების შემდეგ, პირველი სხდომა, ივნისის პირველი ოთხშაბათს, სწორედ 1 ივნისს უწევს. 16:00 საათზე, დათქმულ მისამართზე, საბჭოს წევრები და დაინტერესებული პირები შეიკრიბებიან და საზოგადოების ინიციატივებზე იმსჯელებენ. რომელიც შემდეგ რეკომენდაციის სახით ბათუმის თვითმართველობას გადაეგზავნება.

თუ თქვენც გაქვთ საკითხები, რომელიც თვითმართველობამ უნდა გადაჭრას, ან თუნდაც მომავალი წლის პრიორიტეტებში გაითვალისწინოს, მოდი 1 ივნისს 16:00 საათზე ბათუმის დემოკრატიულიჩართულობის ცენტრში, USAID CCE სადისკუსიო სივრცეში. ერთდ მივცეთ რეკომენდაციები ქალაქის მმართველებს.

მომავალ სამოქალაქო საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხები

სამოქალაქო საბჭოს მომდევნო სხდომა 1 ივნისს, შემდეგი თვის პირველ ოთხშაბათს გაიმართება. საბჭოს წევრებმა, წინა შეხვედრაზე წინასწარ განსაზღვრეს საკითხები, რომლის შესახებაც 1 ივნისის სხდომაზე იმსჯელებენ.

დღის წესრიგში რეკრეაციული ზონების შენარჩუნებისა და ქალაქში მათი გაზრდის საკითხი დადგება. საბჭოს წევრი ნათია აფხაზავა მიიჩნევს, რომ ბათუმში რეკრეაციული ზონები, პარკები, სკვერები მინიმალურად არის დარჩენილი და ქალაქს მწვანე საფარი და საზოგადოებრივი სივრცეები აკლია. საბჭო იმსჯელებს ინიციატივაზე დაემატოს ქალაქს მწვანე საფარი და გაჩნდეს ახალი რეკრეაციული ზონები და საჯარო სივრცეები.საკითხის განხილვამდე საბჭოს წევრებს, ინიციატორი არგუმენტებსა და არსებულ სიტუაციის ანალიზს გააცნობს.

მეორე საკითხად ქალაქში კერძო მიწების მოუვლელობაა. საბჭოს წევრი ლევან გობაძე მიიჩნევს, რომ ქალაქში ბევრია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელიც გავერანებულია და ქალაქის იერსახეს ამახინჯებს. საბჭოს წევრი მიიჩნევს, რომ საკრებულომ უნდა მიიღოს ახალი რეგულაცია და კერძო ტერიტორიების მეპატრონეებს დააკისროს არსებული ტერიტორიების (მშენებლობის ან სხვა ფორმით ექსპლუატაციაში შეყვანამდე) შემოღობვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან განმეხდა და მისი გამწვანება.

მესამე საკითხი კი ღია იქნება. საბჭოს წევრები მოქალაქეების მიერ დასახელებულ სხვადასხვა ინიციატივას განიხილავენ. სხდომის დასრულების შემდეგ, მოქალაქეების მსჯელობის შედეგად გამოვლენილ ინიციატივები და საბჭოს რეკომენდაციით წერილობით სახით რეაგირებისთვის გადაეგზავნება ბათუმის საკრებულოს.

15-16 ივნისს ბათუმის სამოქალაქო საბჭო ბათუმის გრძელვადიანი ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე იმსჯელებს

2017-2020 ბათუმის ბიუჯეტის პრიორიტეტები - ბათუმის მერია გრძელვადიან დოკუმენტზე მუშაობს, რომლითაც მომავალი სამი წლის მანძილზე, ბიუჯეტის დაგეგმვის კუთხით იხელმძღვანელებს. ამ დოკუმენტით, ქალაქის მერი განსაზღვრავს, რა იქნება ქალაქ ბათუმის მერიისთვის პრიორიტეტი 2017-დან 2020 წლებში, ანუ რა მიმართულებით დახარჯავს ქალაქ ბათუმის თვითმმართველობა ფინანსებს.

ბათუმის მერიამ დოკუმენტზე მუშაობა უკვე დაასრულა და იგი საკრებულოს 10 ივნისს უნდა წარუდგინოს. საკრებულოს წევრებმა კი, თავის მხრივ, 30 ივნისამდე უნდა შეისწავლოს დოკუმენტი და რეკომენდაციები წარუდგინოს ქალაქის მერიას.

ვიდრე საკრებულო ქალაქ ბათუმის მერიას მის რეკომენდაციებს და შენიშვნებს გაუგზავნის, სამოქალაქო საბჭოს ინიციატივით ამ დოკუმენტს მოქალაქეები განიხილავენ. 15-16 ივნისს, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში (მისამართი: ბათუმი ფარნავაზ მეფის ქ. #62/64) , 16:00-18:00 საათზე საჯარო განხილვა გაიმართება, სადაც დეტალურად მოხდება იმ პრიორიტეტების შესწავლა, რა მიმართულებითაც მომდევნო სამი წლის განმავლობაში, ქ.ბათუმის მერია ფინანსების განკარგვას გეგმავს.

მოქალაქეების შეჯერებული პოზიცია და მიღებული გადაწყვეტილება გაეგზავნება ბათუმის საკრებულოს.

თქვენ გაქვთ უფლება

- მიიღოთ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან და გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან;
- წინასწარ გაეცნოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებებს. მონაწილეობა მიიღოთ მათ განხილვაში.
- მოითხოვონ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება და საჯარო განხილვა.
- მიმართოთ ინიციატივით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და თანამდებობის პირებს.
- დაესწროთ თვითმმართველობასთან არსებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომებს.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ვებ-გვერდზე:
www.marte.ge

ან მოგვიწერეთ ფეისბუქ გვერდი : სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო -
ბათუმის საკრებულო

პროექტი ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) ბათუმის ფილიალის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში. ელექტრონული ბიულეტენი დამზადდება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.



**საკრებულოსთან არსებული
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო**

Your mailing address

Contact Phone

Website

 SHARE

 TWEET

 FORWARD

You received this email because you signed up on
our website or made purchase from us.

[Unsubscribe](#)